

ცხოვრება მოგზაურობაა, როგორც კონცეპტუალური მეტაფორა ჯორჯო კაპრონის
შემოქმედებაში

მაია ჯავახიძე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail:maiajava@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2022.834>

ლაკოფისა და ჯონსონის კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის შესაბამისად, მეტაფორა არის არა მხოლოდ ენობრივი, არამედ ადამიანის აზროვნებისთვის დამახასიათებელი მოვლენა [Lakoff G., Johnson, M. 1980]. ამ თეორიაში მეტაფორა განმარტებულია, როგორც ერთი კონცეპტუალური სფეროს გაგება მეორე სფეროს თვალსაზრისით, მაგალითად, როდესაც ვსაუბრობთ *ცხოვრებაზე - როგორც მოგზაურობაზე, კამათზე - როგორც ომზე, თეორიებზე - როგორც შენობებზე* და ა.შ.

კონცეპტუალური მეტაფორა შედგება ორი კონცეპტუალური სფეროსაგან: წყაროსა და მიზნის სფეროებისაგან; მიზნის სფერო, როგორც წესი, უფრო აბსტრაქტულია (მაგალითად, *ცხოვრება, სიკვდილი, სიცოცხლე*) და ის გაიგება წყაროს სფეროს თვალსაზრისით, რომელიც გამოცდილებით ფესვამდგარია ადამიანის ცნობიერებაში (მაგალითად, *მოგზაურობა*). კონცეპტუალური სფერო არის ნებისმიერი გამოცდილების მწყობრი ორგანიზაცია, მაგალითად, ჩვენ გვაქვს მწყობრი ცოდნა მოგზაურობის შესახებ, რასაც ვეყრდნობით, როდესაც ვცდილობთ, გავიგოთ, რა არის *ცხოვრება* (Kövesces Z., 2010:4). აღნიშნული ცოდნა სქემატური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის სხვადასხვა კომპონენტებისაგან შედგება. ასეთი კომპონენტებია: მოგზაური, მოგზაურობის საწყისი წერტილი, გზა, დანიშნულების ადგილი. ამ სქემაში არის სავალდებულო და არასავალდებულო ელემენტები, მაგალითად, არასავალდებულო ელემენტებია გამცილებელი, ტრანსპორტის სახეობა. ამგვარი ცოდნა ქმნის სქემას, სქემას გააჩნია ელემენტები ან სლოტები (slot), რომლებიც უნდა შეივსოს. მაგალითად, მოგზაურობის სქემაში უნდა შეივსოს მოგზავრის სლოტი, ეს იქნება კონკრეტული მოგზაური, მოგზაურის კონცეპტი აზრს იძენს მხოლოდ მოგზაურობასთან მიმართებაში. როდესაც ჩვენ ვიცნობიერებთ მოგზაურის არსებობას, ეს ნიშნავს, რომ ის ავსებს სლოტს მოგზაურობის სქემაში [Lakoff G., Turner M., 1986: 60-61].

ბაზისური კონცეპტუალური მეტაფორა ვლინდება ენობრივი მეტაფორების საშუალებით. გამომდინარე იქიდან, რომ სიკვდილი, სიცოცხლე და თავად ცხოვრებაც ჩვენთვის, ადამიანებისთვის, უმნიშვნელოვანესი კონცეპტებია, არ არის გასაკვირი, რომ მათი

უთვალავი ენობრივი მეტაფორა არსებობს, რომელთა საშუალებითაც ვლინდება კოგნიტიური მეტაფორა.

კოგნიტიური მეტაფორის თეორია გვიხსნის პოეტური ტექსტის საიდუმლოს; პოეტური ნიჭის მიერ შექმნილი ინდივიდუალური მეტაფორა ეფუძნება იმ „დაფარულ“ ცოდნას, რომელიც ადამიანს აქვს ე.წ. კონცეპტუალური მეტაფორის სახით; პოეტებიც იმ ბაზისურ კონცეპტუალურ მეტაფორებს მიმართავენ, რომელიც ყველა ადამიანის ცნობიერებაში არსებობს.

სიცოცხლისა და სიკვდილის თემაზე უამრავი პოეტური ნიმუშია შექმნილი, მაგრამ ამ უთვალავი რაოდენობის უკან ცოტა კოგნიტიური ბაზისური (ნებისმიერი კონცეპტუალური მეტაფორა, რომელიც არის საყოველთაოდ გავრცელებული და ამასთანავე ისეთი „ჩვეულებრივი“, რომ გაუცნობიერებელია) მეტაფორა დგას. ამ სიმრავლეს საფუძვლად უდევს პოეტების მიერ კონცეპტუალური მეტაფორის ახლებური გადამუშავება, კონკრეტულად კი: გაფართოება (extension), გადამუშავება (elaborating), კომბინირება (composing, combining), ეჭვქვეშ დაყენება (questioning). ისიც ცნობილია, რომ ბაზისური კონცეპტუალური მეტაფორები ყველა ადამიანის ცნობიერებაშია ფესვგამდგარი, სწორედ ეს გვადლევს ამგვარ მეტაფორაზე დაფუძნებული პოეზიის გაგების საშუალებას [Lakoff G., Turner M., 1986: 52].

ჯორჯო კაპრონი [ლივორნო 1912 - რომი 1990] იტალიელი პოეტია, რომლის შემოქმედებაში სამ ძირითად თემას გამოყოფენ: ქალაქი (ძირითადად, გენუა, სადაც 10 წლისა გადავიდა საცხოვრებლად ოჯახთან ერთად), დედა და მოგზაურობა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა კაპრონის პოეზიაში აქვს მატარებლით მოგზაურობის თემას, ყველაზე ხშირად და მკვეთრად მის პოეზიაში სწორედ ამ სახით ვლინდება კონცეპტუალური მეტაფორა - ცხოვრება-მოგზაურობა; მატარებელი კი სწორედ ერთ-ერთი ის სატრანსპორტო საშუალებაა, რომელიც ავსებს მოგზაურობის სქემაში ტრანსპორტის სლოტს; ლექსში „რიგი“ პოეტი რიგში დგას და თავის დროს, თავის მატარებელს ელოდება, რომელმაც სამუდამოდ უნდა წაიყვანოს, ამ ლოდინში კი შეშინებული და გულამოვარდნილი აკვირდება მატარებლების ჩამოსვლა-გამგზავრების ტაბლოს:

<p><i>Coda</i></p> <p>(Che senso può avere «esser vivi». Star qua, il cuore in gola, a spiare il Quadro Partenze e Arrivi?...)</p> <p>Moriamo con noncuranza. Liberi. D'ogni speranza.)</p>	<p>რიგი</p> <p>(რა აზრი აქვს „იყო ცოცხალი“, იყო აქ, უთვალთვალვებდე გულამოვარდნილი ჩამოსვლა-გამგზავრების ტაბლოს?...)</p> <p>კვდებით უდარდელად. თავისუფალნი. ყოველი იმედისაგან.)</p>
---	---

ზოგადად წყაროს სფეროდან (მოგზაურობა) მიზნის სფეროზე (ცხოვრება) პროექციას ნაწილობრივი ხასიათი აქვს; წყაროს სფეროდან მიზნის სფეროში არ გადადის ყველა ჩვენთვის ნაცნობი ელემენტი, არამედ მხოლოდ გარკვეული მათგანი, ზოგჯერ შედარებით უჩვეულოც. პოეტი მიმართავს გავრცელებულ, ჩვეულებრივ მეტაფორას და აღწერს მას „უჩვეულოდ“, რასაც აღწევს წყაროს „გამოუყენებელი“ ელემენტების ჩართვით. კაპრონის პოეტური ინდივიდუალობა სწორედ ამ სქემის გამოუყენებელი ელემენტების გააქტიურებაში ვლინდება. ამ შემთხვევაში გამოუყენებელი ელემენტები, ე.წ. გამომდინარეობები (entailments) - ის მდიდარი დამატებითი ცოდნაა წყაროს შესახებ, რომელიც პროექტირებულია მიზნის სფეროში; გამომდინარეობაა ამ შემთხვევაში ის ტაბლო, რომელიც გვიჩვენებს მატარებლის ჩამოსვლისა და გამგზავრების განრიგს.

ისევ მატარებლით მოგზაურობის თემას უბრუნდება კაპრონი თავის ლექსში *Disdetta-უარი*:

<p><i>Disdetta</i> E ora che avevo cominciato a capire il paesaggio: “Si scende”, dice il capotreno. “È finito il viaggio”.</p>	<p><i>უარი</i> და ახლა, როცა დავიწყე პეიზაჟის აღქმა, „ჩასვლის“ დროა, ამბობს მატარებლის გამცილებელი. „მოგზაურობა დასრულდა“</p>
---	---

ამ შემთხვევაში პოეტი უკვე მატარებელშია და მის ირგვლივ პეიზაჟს აკვირდება. სწორედ ამ დროს გაისმის მატარებლის გამცილებლის ხმა: მოგზაურობა დამთავრდა, ჩასვლის დრო მოვიდა.

მატარებლით მოგზაურობის თემას ეხება კაპრონის ლექსი *Congedo del Viaggiatore Cerimonioso* (ცერემონიული პოეტის დამშვიდობება), რომელიც შედის 1965 წელს დაბეჭდილ კრებულში *Congedo del Viaggiatore Cerimonioso e altre prosopopee*. კაპრონის დაგეგმილი ჰქონდა „poemetto dove mi piacerebbe descrivere una mia calata nel limbo e un mio incontro con i morti, divenuto loro concittadino e fratello“¹ (ბეტოკისადმი მიწერილი წერილი “Roma, 9 marzo 1961”, ლ. მანდალისის მიხედვით, Mandalis L., 53). მაგრამ ამგვარი ჩანაფიქრიდან ავტორმა შექმნა მხოლოდ ერთი ლექსი, თავად *Congedo del Viaggiatore Cerimonioso*. ამგვარად ეს ლექსი არის მოგზაურობა, უფრო ზუსტად, მისი დასასრული, საბოლოო დანიშნულების ადგილამდე ჩასვლა, თუმცა ის ჩაფიქრებული იყო, როგორც ახალი მოგზაურობის დასაწყისი; რადაცის ბოლო ხომ ყოველთვის რადაცის დასაწყისია, იქით მხარეს გადასული მოგზაური უკვე ახალ მოგზაურობას იწყებს, რაც, მითოლოგიიდან მოყოლებული, ბევრი პროზაული თუ პოეტური ნაწარმოების თემაა, მაგრამ ამ შემთხვევაში კაპრონის ეს განზრახვა არ მიუყვანია ბოლომდე; მგზავრი მატარებელშია, ეს მისი ცხოვრების მატარებელია, რომელიც დანიშნულების ადგილას ჩერდება, რათა თავისი მგზავრი ჩამოსვას. პოეტი თავის

¹ „პატარა პოემა, რომელშიც სიამოვნებით აღწერდი ჩემს ლიმბში ჩასვლას, ჩემს შეხვედრას მიცვალებულებთან, როგორ გავხდი მათი თანამოქალაქე და ძმა“

თანამგზავრებს ატყობინებს, რომ ის უნდა გაემზადოს, უნდა აიღოს ჩემოდანი, რადგან ახლოვდება მატარებლიდან მისი ჩასვლის დრო:

Congedo del Viaggiatore Cerimonioso:

<p>Amici, credo che sia meglio per me cominciare a tirar giù la valigia. Anche se non so bene l'ora d'arrivo, e neppure conosca quali stazioni precedano la mia, sicuri segni mi dicono, da quanto m'è giunto all'orecchio di questi luoghi, ch'io vi dovrò presto lasciare.</p>	<p>მეგობრებო, ვფიქრობ ჩემთვის უკეთესი იქნება, დავიწყო ჩემოდნის გადმოღება. თუმც, ზუსტად არ ვიცი ჩასვლის დრო, არც ის ვიცი, რომელი სადგურები უსწრებს ჩემსას, სარწმუნო ნიშნები მეუბნება, მას შემდეგ, რაც ამგვარი ადგილების შესახებ გავიგე, რომ მე მალე უნდა დაგტოვოთ.</p>
--	---

განხილულ ლექსში წარმოდგენილია მოგზაური, რომელიც მოგზაურობს მატარებლით; ამჯერად პოეტი ძალიან საინტერესო გამომდინარეობებს მიმართავს: მას ჩემოდანი დერეფანში დაუდგამს, ის ხედავს წითელ დისკს, რომელიც მატარებლის გაჩერების მანიშნებელია და მას ესმის მატარებლის მუხრუჭების ღრჭიალი; ის ემშვიდობება თავის თანამგზავრებს და ჩადის მატარებლიდან. სხვები კი აგრძელებენ გზას, მათი დრო ჯერ არ დამდგარა. როგორც ვხედავთ, წყაროს სფეროს ელემენტებია: მოგზაურობა, მატარებელი, მგზავრები, წითელი მეტალის დისკი, (რომელიც დღეს ჩანაცვლებულია შუქნიშნით; ადრე ამგვარი მეტალის დისკი ანიშნებდა მემანქანეს თავისუფალი იყო გზა თუ ჩაკეტილი). განსაკუთრებულად გვინდა შევჩერდეთ ისეთ ელემენტზე, როგორცაა ჩემოდანი; ჩემოდანი მოგზაურის აუცილებელი ატრიბუტია, მასში პოეტს ამ ცხოვრებაში დაგროვილი ღირებულებები აქვს, მაგრამ ამჯერად ჩემოდანს თავისი საბოლოო დანიშნულების ადგილას მიმავალი პოეტისათვის მნიშვნელობა დაუკარგავს; რაში შეიძლება გამოადგეს ის მოგზაურს ახალ ადგილას? თუმცა მისი დატოვება არ შეუძლია, ეს მისია, მას ეკუთვნის და მასთან ერთად უნდა დატოვოს მატარებელი. ის მას მატარებლის გასასვლელში დგამს და თავს უფრო თავისუფლად გრძნობს.

თავის მატარებელს ელოდება ანინა - პოეტის დედაც:

<p>AD PORTAM INFERI</p> <p>Chi avrebbe mai pensato, allora, di doverla incontrare un'alba (così sola e debole, e senza l'appoggio d'una parola) seduta in quella stazione,</p>	<p>AD PORTAM INFERI</p> <p>ვინ წარმოიდგენდა, მაშინ, რომ განთიადისას ის იქნებოდა (ასეთი ეული და სუსტი, სიტყვიერი გამხნეების გარეშე) იმ სადგურში მჯდომი,</p>
--	--

<p>la mano sul tavolino freddo, ad aspettare l'ultima coincidenza per l'ultima destinazione?</p>	<p>ხელი ცივ მაგიდაზე დაუდევს, ელოდება ბოლო გადაჯდომას, რომელიც დანიშნულების ადგილზე მიიყვანს.</p>
--	---

ანინას თავისი ფუთა ძირს დაუდგამს, სადგური ნისლშია ჩაფლული, მატარებლები ისევ შეუჩერებლივ მიდი-მოდიან დ გადაჰყავთ თავიანთი მგზავრები, მაგიდასთან მჯდარი ანინა ცხვირსახოცის კუთხით იმშრალებს ერთადერთ ცხელ ცრემლს, რომელიც ყელს უწვავს.

მოგზაურობის სქემა უკვე სხვა სატრანსპორტო საშუალებით იცვლება ლექსში Stanze della funicolare - ფუნიკულიორის სტანსები; მგზავრი ვაგონშია, ფუნიკულიორით ადის ბოლო გაჩერებზე; სატრანსპორტო საშუალების სლოტი ამ შემთხვევაში ივსება ვაგონით, რომელიც ბაგირით გადაადგილდება.

ფუნიკულიორი გენუაში 1895 წელს გაიხსნა, საბოლოოდ კი მშენებლობა 1912 წელს დასრულდა. ის არის 1428 მეტრი სიგრძისა და ადის 279 მეტრის სიმაღლეზე, საიდანაც იშლება არაჩვეულებრივი ხედი ქალაქზე - გენუაზე. სწორედ ამ მარშრუტს მიუყვება პოეტი და 24 საათის განმავლობაში ვაგონი გაივლის გენუის უბნებს. ამ ლექსში ადამიანი შეუჩერებლივ (“inarrestabile”) მიიწევს წინ სიკვდილისაკენ (“verso la morte”); ის ისევ მგზავრია, ამჯერად ფუნიკულიორის ვაგონის და ვაგონში მჯდარი აკვირდება ფანჯრიდან იმ პეიზაჟს, რომელიც მის წინაშე იშლება. ის ელოდება შესაფერის მომენტს იმისათვის, რომ მოითხოვოს გაჩერება – „Alt!”, ასეა ბოლო სადგურამდე, რომელიც იდუმალ ნისლში გახვეულა.

<p>STANZE DELLA FUNICOLARE Una funicolare dove porta, amici, nella notte? Le pareti preme una lampada elettrica, morta nei vapori dei fiati – premon cheti rombi velati di polvere e d’olio lo scorrevole cavo. E come vibra, come profondamente vibra ai vetri, anneriti dal tunnel, quella pigra corda inflessibile che via trascina de profundis gli utenti e li ha in balia nei sobbalzi di feltro! È una banchina bianca, o la tomba, che su in galleria ora tenue traluce mentre odora già l’aria d’alba? È l’aperto, ed è là che procede la corda – non è l’ora questa, nel buio, di chiedere l’alt.</p>	<p>ფუნიკულიორის სტანსები სად მივყავართ ღამით ფუნიკულიორს მეგობრებო? მონაბერი ორთქლით მკვდარი ელექტრონათურა აწვება კედლებს, ... მტვრით და ზეთით დაფარულ სრიალა ტროსს. როგორ ვიბრირებს, როგორ ღრმად ვიბრირებს მინებში, გვირაბის სიბნელით ჩაშავებული, ის ზარმაცი, მოუქნელი ტროსი, რომელიც de profundis მიათრევს მგზავრებს, ისინი თავის განკარგულებაში ჰყავს... თეთრი სადგურია თუ სამარე, რომელიც გვირაბში მკრთალად მოჩანს, ახლა, როცა უკვე იგრძნობა განთიადის ჰაერი? გარეთ გადის ტროსი, - არ არის იმის დრო, ამ სიბნელეში, რომ მოითხოვო - alt.</p>
---	--

ამ შემთხვევაშიც ძალიან საინტერესო გამომდინარეობაა დამტკვერილი, ზეთიანი და მოუქნელი ბაგირი, რომელიც ვაგონს მიაქანებს. როგორც ლიანდაგზე მოძრავი მატარებელი ვერ გადაუხვევს თავის გზას, ასევე ფუნქციონირის ვაგონი ვერ შეივცლის მარშრუტს და ვერ მოწყდება ამ „მოუქნელ“ ტროსს, ბოლოს და ბოლოს ის დანიშნულების ადგილზე ჩაიყვანს თავის მგზავრს.

ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ პოეტები გაუცნობიერებლად მიმართავენ სხვადასხვა ხერხს იმისათვის, რომ ახლებური იერი შესძინონ კონცეპტუალურ მეტაფორას. ყველა განხილულ ლექსში შესაძლებელია ე.წ. კომბინირების დადგენა. კომბინირება გულისხმობს რამდენიმე კონცეპტუალურ მეტაფორას; ამ ლექსებში აქტიურდება არა მხოლოდ კონცეპტუალური მეტაფორა *ცხოვრება არის მოგზაურობა*, არამედ სხვა კონცეპტუალური მეტაფორებიც, როგორცაა: *სიკვდილი არის მოგზაურობის დასასრული* და *სიკვდილი არის დანიშნულების ადგილას ჩასვლა*.

განხილული მასალის მაგალითზე კიდევ ერთხელ შეგვიძლია დავადასტუროთ პოეტური კოგნიტიური მეტაფორის პოსტულატი, რომ პოეტური მეტაფორების საფუძველს წარმოადგენს ჩვენს ცნობიერებაში ფესვგამდგარი ბაზისური კოგნიტიური მეტაფორები; როგორც ლაკოფი და ტერნერი აღნიშნავენ, ბაზისური მეტაფორები არ არიან შექმნილნი პოეტების მიერ, პოეტები თავისებურად ამუშავებენ ბაზისურ მეტაფორებს და შედეგად დებულობენ ინდივიდუალურ პოეტურ მეტაფორებს. გავრცელებულ, ჩვეულებრივ და ახალ, ორიგინალურ მეტაფორებს გააჩნიათ საერთო კოგნიტიური საფუძველი, ხოლო „გადასვლა“ გავრცელებული მეტაფორისა უჩვეულო, ახალ მეტაფორაში ხდება რამდენიმე საშუალებით, ესენია: გაფართოება, დამუშავება, კომბინირება და ეჭვქვეშ დაყენება.

ცხოვრება, სიკვდილი, სიცოცხლე - ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი კონცეპტებია, არსებობს მათი გამომხატველი უამრავი ენობრივი მეტაფორა და ისინი ამ კონცეპტების სხვადასხვა ასპექტზე ფოკუსირდებიან, ზოგიერთ მათგანს გამოყოფენ და სხვებს კი „მიჩქმალავენ“. ჯორჯო კაპრონი თავის პოეზიაში გაუცნობიერებლად მიმართავს საინტერესო გამომდინარეობებსა (წითელი დისკი, მუხრუჭების ხმა, ჩემოდანი, ანინას ფუთა, მატარებლების გამგზავრება-ჩამოსვლის ტაბლო, ბაგირი, რომელიც ფუნქციონირის ვაგონს გადაადგილებს) და კომბინირებას: *ცხოვრება არის მოგზაურობა*, *სიკვდილი არის მოგზაურობის დასასრული* და *სიკვდილი არის დანიშნულების ადგილას ჩასვლა*.

ლიტერატურა

1. De Marco G. Scaglie tematico-metaforiche in Caproni: l'esilio, il viaggio Studi Novecenteschi, (luglio - dicembre 2008), Vol. 35, No. 76,), 505-521. Accademia Editoriale.
2. Kövesces Z. (2010): Metaphor. A practical introduction. Oxford University Press.
3. Lakoff G., Johnson M. (1980): Metaphors We Live By. University of Chicago Press.
4. Lakoff G., Turner M. (1986): More than Cool Reason, A Field Guide to Poetic Metaphor. University of Chicago Press.
5. Mandalis L. Allegoria e realtà nella poesia di Giorgio Caproni https://www.academia.edu/19048586/Allegoria_e_realt%C3%A0_nella_poesia_di_Giorgio_Caproni?email_work_card=title

6. Remigi G. Il tema del viaggio nella poesia di Giorgio Caproni. *Italica*. [Vol. 86, No. 2 \(Summer, 2009\)](#), 239-253.